Wizz All You Can Fly — წესები და პირობები

ინტერპრეტაცია

1.1 Wizz Air-ის გადაზიდვის ზოგად პირობებში (**GCC**) განსაზღვრულ ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვს წინამდებარე წესებსა და პირობებში (**TC**). ვებსაიტზე შეძენილი ჯავშნები ან სერვისები ექვემდებარება Wizz Air-ის საოპერაციოსუბიექტის GCC-ს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ TC-ში. GCC-ები ხელმისაწვდომია აქ: Wizz Air Hungary Limited, Wizz Air UK Limited, Wizz Air Malta Limited, Wizz Air Abu Dhabi Limited.

1.2 GCC-სა და TC-ს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება TC-ს ამ დებულებებს.

2 განმარტებები

აპი: Wizz Air-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ვებსაიტთან და იმართება Wizz Air-ის მიერ ან მისთვის და სადაც შესაძლებელია ჯავშნების გაფორმება.

Caravelo: Changeyourflight S.L. (რეგისტრირებული ადგილი: Gran Via de les Corts Catalanes, 641, 1-1 , L'Eixample, 08010 Barcelona)

ფიქსირებული საფასური: შეესაბამება 2023 წლის LIX აქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითგანსაზღვრულთანხას ავიაკომპანიის შენატანებთან და ზოგიერთი საგადასახადო კანონის შეცვლასთან დაკავშირებით, დროდადრო შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით. ფიქსირებული საფასური დაწესებულია ევროში ან ევროდან დაკონვერტირებულსხვა ვალუტაში, გადახდის დროს Wizz Air-ის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსით. ვალუტის გაცვლის გამოყენებული კურსი, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ბანკებს შორის გაცვლის ან ოფიციალური კურსებისგან.

თვე: აღნიშნავს კალენდარულთვეებს.

მგზავრი: ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს Wizz Air-ის სატრანსპორტო სერვისებს და რომლის სახელიც მითითებულია მგზავრად გაფორმებულ ჯავშანში.

თქვენ/თქვენი: ფიზიკური პირი, რომელიც არის Wizz All You Can Fly-ს წევრი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში და რომელიც დარეგისტრირდა Wizz All You Can Fly-ში.

ვაუჩერის მოსაკრებელი: ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია 3.1 მუხლში.

შესაბამისი პერიოდი: ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია 3.3 მუხლში.

ვაუჩერი: ვაუჩერი ითვლება მრავალმიზნობრივ ვაუჩერად, რომელიც განსაზღვრულია 2007 წლის CXXVII აქტის 259-ე მუხლის (24/A)(c) პუნქტში დამატებითი ღირებულების გადასახადთან დაკავშირებით (უნგრეთი) და მიიღება გარკვეული სერვისების უზრუნველყოფის სანაცვლოდ, რა შემთხვევაშიც როგორც შესაბამისი სერვისების, ისე მათი პოტენციური პროვაიდერების (ამ ვაუჩერის მიმღები მხარეები) ფარგლები განისაზღვრება ამ წესებსა და პირობებში.ვაუჩერის Wizz Air Hungary Ltd.-დან თქვენთვის გადაცემის დროს ვაუჩერის სანაცვლოდ გასაწევი მომსახურების გაწევის ზუსტი ადგილები ცნობილი არარის.

ვებსაიტი: wizzair.com

Wizz Air: Wizz Air-ის სუბიექტები, მათ შორის, Wizz Air Hungary Ltd, Wizz Air UK Limited,Wizz Air Malta Limited, Wizz Air Abu Dhabi LLC ან Wizz Air-ის ნებისმიერი სხვა სუბიექტი, რომელიც ასრულებს თქვენ მიერ დაჯავშნილრეისს.

3 მოთხოვნებთან შესაბამისობა

3.1 Wizz All You Can Fly არის Wizz Air Hungary Limited-ის მიერ შემოთავაზებული გამოწერის 12-თვიანი გეგმა, რომელიც საშუალებას გაძლევთ, იმგზავროთ Wizz Air-ის რეისებით, შეზღუდვების გათვალისწინებით, ვაუჩერის თავდაპირველ მოსაკრებლის (**ვაუჩერის მოსაკრებელი**) და შემდეგ თითოეული რეისისთვის ფიქსირებული მოსაკრებლის გადახდის სანაცვლოდ, წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად.

3.2 All You Can Fly-ში რეგისტრაციისთვის საჭიროა Wizz Air-ის ანგარიში. Wizz All You Can Fly-ში რეგისტრაცია შეგიძლათ ვებსაიტზე Wizz All You Can Fly-ს არჩევითა და როგორც ამ წესებსა და პირობებზე, ისე შესაბამის სპეციალურ პირობებზე დათანხმებით. Wizz Air-ს უნდა შეატყობინოთ თქვენი სახელი და გვარი, სქესი, ქვეყნის კოდი, მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი და სასურველ აეროპორტი Wizz All You Can Fly-ში რეგისტრაციისთვის. Wizz All You Can Fly-ში დარეგისტრირების მიზნით უნდა იყოთ მინიმუმ თვრამეტი (18) წლის. All You Can Fly-ში რეგისტრაციის შემდეგ ვეღარ შეძლებთ წევრობაში დაფიქსირებული სახელის შეცვლას, უფასო კორექტირების შემდეგი გამონაკლისი შემთხვევების გარდა: (ა) თქვენს სახელსა და გვარში მაქსიმუმ 3 სიმბოლოს კორექტირება; (ბ) ინიციალის სრულად შეტანა სამგზავრო დოკუმენტთან შესაბამისობისთვის (მაგ., „ჯონ თ. სმიტის“ შეცვლა „ჯონ თომას სმიტით“); (გ) ჯავშანი დამატებული სახელისთვის სქესის (მიმართვის) შეცვლა; (დ) სახელისა და გვარის გადანაცვლება; და/ან (ე) ქორწინების ან განქორწინების გამო გვარის შეცვლა (ეს შემთხვევა საჭიროებს დოკუმენტურად დადასტურებას, მაგალითად, ქორწინების მოწმობას ან განქორწინების აქტს). ასეთი ცვლილების შესატანად უნდა დაუკავშირდეთ საინფორმაციო ცენტრს: https://wizzair.com/en-gb/information-and-services/contact/contact-us. თქვენი მონაცემების შეგროვების, გამოყენებისა და დაცვის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის გაეცანით ჩვენს All You Can Fly-ს შეტყობინებას კონფიდენციალურობის შესახებ.

3.3 Wizz All You Can Fly არის 12-თვიანი წევრობა, რომელიც იწყება ვაუჩერის მოსაკრებლის გადახდის დღიდან (**მოქმედების პერიოდი**). თუ თქვენ გადიხადეთ ვაუჩერის მოსაკრებელი 2024 წლის 16 აგვისტოს, პირველი მოქმედების პერიოდი იწყება 2024 წლის 25 სექტემბერს. სიცხადისთვის, ეს ვრცელდება პირველ მოქმედების პერიოდის გაუქმების პერიოდის 30-დღიან მონაკვეთზე, 7.2 მუხლის მიხედვით.

3.4 Wizz All You Can Fly-ში პირველად რეგისტრაციისას თქვენი მკაფიო თანხმობის საფუძველზე Wizz All You Can Fly ავტომატურად განახლდება* მოქმედების ყოველი პერიოდის ბოლოს იქამდე, სანამ All You Can Fly წევრობას არ შეწყვეტთ. მოქმედების მიმდინარე პერიოდის ვადის გასვლისა და ავტომატური განახლების შესახებ შეტყობინებას მიიღებთ ელფოსტით Wizz All You Can Fly წევრობის მოქმედების ვადის გასვლამდე 60-15 დღითადრე.

**თუ ისრაელში მაცხოვრებელი მომხმარებელი ხართ, Wizz All You Can Fly ავტომატურად არ განახლდება მოქმედების ყოველი პერიოდის ბოლოს. სანაცვლოდ, ელფოსტით მიიღებთ შეტყობინებას Wizz All You Can Fly-ს სავარაუდო განახლების შესახებ მისი მოქმედების ვადის*

გასვლამდე 60-15 დღითა დრე, რა დროსაც შეგიძლიათ აირჩიოთ Wizz All You Can Fly-ს განახლება Wizz Air-ისთვის თანხმობის გამოხატვით.

4 გადახდა

4.1 ვაუჩერის მოსაკრებელს ჩამოგაჭრით Caravelo რეგისტრაციის დროს. ვაუჩერის მოსაკრებლის სანაცვლოდ თქვენ მიიღებთ ვაუჩერს, რომელსაც გამოიყენებთ პირველი ავიაბილეთის უფასოდ დასჯავშნად.

4.2 ვაუჩერის მოსაკრებლის გადახდის (წინამდებარე წესებისა და პირობების 3.1 მუხლის მიხედვით) შემდეგ თქვენ უფლება გექნებათ, დაჯავშნოთ ავიაბილეთები წინამდებარე წესებისა და პირობების მიხედვით წევრობის მოქმედების პერიოდში, ფიქსირებული მოსაკრებლის გადახდის გზით. პირველი ავიაბილეთის (ვაუჩერის გამოყენებით) გარდა, ყოველ მომდევნო დაჯავშნისთვის, წევრობის მოქმედების პერიოდში, თქვენ უნდა გადაიხადოთ ფიქსირებული მოსაკრებელი.

4.3 ვაუჩერის მოსაკრებელი მოცემულია ვებსაიტზე. ვაუჩერის მოსაკრებლის ვალუტად განსაზღვრულია ევრო ან სხვა ვალუტა, რომელიც ევროში კონვერტირდება Wizz Air-ის მიერ გადახდის მომენტში დადგენილი კურსით. ვალუტის გაცვლის გამოყენებული კურსი, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ბანკებს შორის გაცვლის ან ოფიციალური კურსებისგან. ვაუჩერის მოსაკრებლისა და ფიქსირებული საფასურის ოდენობა (როგორც ვებსაიტზეა გამოქვეყნებული) შეიძლება დროდადრო შეიცვალოს და ის გამოქვეყნდება ვებსაიტზე.

4.4 ვაუჩერის მოსაკრებელი, წევრობის მოქმედების პერიოდის განმავლობაში, არ შეიცვლება (მაგალითად, ფასის ცვლილების შემთხვევაში, ვაუჩერის განახლებული მოსაკრებელი ამოქმედდება მომდევნო პერიოდზე, თუ მანამდე არ გააუქმებთ რეგისტრაციას 7.1, 7.3, 7.5 და/ან 7.6 მუხლების შესაბამისად). ვაუჩერის მოსაკრებლის ცვლილებასთან დაკავშირებულ სიახლეს გაცნობებთ მის ამოქმედებამდე 15-30 დღითა დრე.

4.5 გადახდის ხელმისაწვდომი მეთოდები მოიცავს გადახდებს საბანკო ბარათით. თუ Caravelo ვერ დაამუშავებს თქვენს გადახდას, Caravelo გთხოვთ გადახდის სხვა მეთოდის არჩევას. თქვენი გადახდის დამუშავებამდე Wizz All You Can Fly წევრობა იქნება დაყოვნებული, რის შესახებაც მიიღებთ შეტყობინებას და მოგეთხოვებათ გადახდის ალტერნატიული მეთოდის უზრუნველყოფა. დაყოვნება არ გათავისუფლებთ ვაუჩერის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან წარუმატებელი გადახდის, დროის მიუხედავად (განურჩევლად მოქმედების პერიოდისა), შემთხვევაში.

4.6 თუ თქვენ მიერ მითითებული გადახდის მეთოდი აღარარის მოქმედი ან გადახდა ვერ განხორციელდა Wizz All You Can Fly-ს წევრობის განახლების მიზნით და თქვენ ვერ ახერხებთ გადახდის მეთოდის განახლებას Caravelo-ს მიერ ამის მოთხოვნის შემდეგ, თქვენი Wizz All You Can Fly წევრობა შეწყდება.

5 დაჯავშნა თქვენი ვაუჩერით

5.1 Wizz All You Can Fly-ს ვაუჩერის საშუალებით შეგიძლათ უფასოდ დაჯავშნოთ პირველი Wizz All You Can Fly ავიაბილეთი. ვაუჩერის გამოყენების შემდეგ შეგიძლათ განაგრძოთ ცალმხრივი ავიაბილეთების დაჯავშნა, რომლებიც ხელმისაწვდომია სასურველ მარშრუტზე ვებსაიტზე ან აპში, რისთვისაც უნდა გადიხადოთ

ფიქსირებული მოსაკრებელი ყოველი შემდეგი ავიაბილეთისთვის. ჯავშანი უნდა გაფორმდეს მოცემული რეისის გამგზავრების დაგეგმილთარიღამდე სამი (3) კალენდარული დღით (72 საათი) ადრე, არაუგვიანეს სამი (3) საათისა. ყოველი კალენდარული დღის განმავლობაში შესაძლებელია მაქსიმუმ სამი (3) ცალმხრივი ავიაბილეთის დაჯავშნა. გაითვალისწინეთ, რომ თუ დამატებით სერვისებს არ შეიძენთ, მოქმედებს დაჯავშნის სტანდარტული პირობები. კერძოდ, თუ თქვენს რეისზე რეგისტრაციას უფასო რეგისტრაციას ვერ მოახერხებთ რეისის გამგზავრებამდე 24 საათიდან 3 საათამდე ინტერვალში, აეროპორტში რეგისტრაციისთვის შესაბამისი საფასურის გადახდა მოგიწევთ.

5.2 გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნულ უპირატესობებზე ვრცელდება შეზღუდვები, როგორც ეს აღწერილია მე-6 მუხლში.

6 შეზღუდვები და ლიმიტები

6.1 Wizz All You Can Fly-ს წევრების რაოდენობა შეზღუდულია თითოეულ ქვეყანაში, უპირატესი აეროპორტის მიხედვით, რომელსაც Wizz Air-ს აცნობებთრეგისტრაციის დროს. იტალიის შიდა მარშრუტებს (იტალიის ორ აეროპორტს შორის რეისი) არ ფარავს Wizz All You Can Fly.

6.2 Wizz Air არ იძლევა გარანტიას, რომ თქვენ დაჯავშნითავიაბილეთებს ან ადგილებს Wizz All You Can Fly წევრობით, რადგან ავიაბილეთებისა და ადგილების ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია გარკვეულ კომერციულ და ალგორითმულ შეზღუდვებზე. აღნიშნული შეზღუდვები, მათშორის, მოიცავს შემდეგს:

a) Wizz All You Can Fly გამოწერის მქონე მგზავრთა რაოდენობა, რომლებიც მოცემულრეისზე არიან;
b) მგზავრების რაოდენობა, რომლებსაც დაჯავშნილი აქვთ ავიაბილეთი მოცემულრეისზე იმ დროს, როცა თქვენ ჯავშნით Wizz All You Can Fly გამოწერით;
c) ხელმისაწვდომი ადგილების* რაოდენობა იმ დროს, როცა თქვენ ჯავშნით Wizz All You Can Fly გამოწერით; და
d) მოცემულრეისზე ადგილების სრული რაოდენობა.

**ადგილების ხელმისაწვდომობა არარის გარანტირებული. Wizz All You Can Fly-ს წევრებისთვის ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს დაჯავშნის სტანდარტული გზით ხელმისაწვდომი ადგილებისგან. Wizz Air-ს შეუძლია გადაწყვიტოს, რამდენი ბილეთი შესთავაზოს All You Can Fly-ს წევრებს; მას, ასევე, შეუძლია ნებისმიერ დროს დამატოს ან მოხსნას ბილეთები.*

6.3 Wizz All You Can Fly-ს გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ერთადერთი მგზავრი ხართ. Wizz All You Can Fly-თ ავიაბილეთის დაჯავშნის შემდეგ, ამ ჯავშნის და/ან მასთან დაკავშირებულ მგზავრის სახელის შეცვლა შეუძლებელია.

6.4 გარდა იმ შემთხვევისა, როცა ავიაბილეთს ვაუჩერით ჯავშნით, თითოეულრეისზე ფიქსირებულ საფასურის გადახდა გიწევთ.

6.5 ვაუჩერის ავიაბილეთის დაჯავშნა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედების პერიოდის განმავლობაში. ვაუჩერი გახდება ბათილ და მისი გამოყენება შეუძლებელ იქნება მოქმედების პერიოდის გასვლის შემდეგ, თუ მისი განახლება არ მოხდება (იხილეთ 3.4 მუხლი). ვაუჩერის მოქმედების ვადის გახანგრძლივება შეუძლებელია; შეუძლებელია მოსაკრების თანხის დაბრუნებაც გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აღწერილია 7.2 მუხლში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ ვაუჩერით დაჯავშნილ რეისი გააუქმა Wizz Air-მა,

უნდ დუკავშირდეთ საინფორმაციო ცენტრს (https://wizzair.com/en-gb/information-and-services/contact/contact-us) და აცნობოთგაუქმების შესახებ. გაუქმების შემდეგ მომდევნო ავიაბილეთის დაჯავშნისას უნდ გადიხადოთფიქსირებული მოსაკრებელი,შემდეგ დუკავშირდეთWizz Air-ს და მოითხოვოთფიქსირებული მოსაკრებლის ანაზღაურება.

6.6 ავიაბილეთები უნდ დაჯავშნოთ მხოლოდ იმ რეისებზე, რომლითაც სარგებლობას აპირებთ. განმეორებით და თაღლითურად არ უნდ დაჯავშნოთ ავიაბილეთები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა, რომლებშიც დუბლირებულია მარშრუტი, ან რომელთა განხორციელება შეუძლებელია რეისის სავარაუდოშეფერხების ან რეისის გაუქმების გამო. ამას გარდა, უნდ გაიაროთ რეგისტრაცია და გამოცხადდეთ რეისზე, რომელსაც დაჯავშნით. თქვენ განმეორებითად არ უნდ გამოტოვოთრეისი. მსგავსადარ უნდ დაჯავშნოთრამდენიმე რეისზე ერთსა და იმავე აეროპორტშიან გამგზავრების ერთსა და იმავე დღეს და დროს (იხილეთ 8.5 მუხლი ამ მუხლის დარღვევის თაობაზე).

6.7 გამგზავრებამდე შესაძლებელია დამატებითი სერვისების შეძენა და მათი დამატება შესაბამისი ფრენის ჯავშანში ყველა იმ სხვა წესის გათვალისწინებით, რომელიც ვრცელდება აღნიშნულ რეისზე (იხილეთ 1.1 მუხლი). ასეთი სერვისების (მაგალითად, ბარგის ან პრიორიტეტის) საფასურს არ ფარავს Wizz All You Can Fly. Wizz All You Can Fly-ს წევრობითდაჯავშნილ ავიაბილეთი მოიცავს მხოლოდხელბარგს.

6.8 Wizz Air-ის ყველა სახის პრომოაქცია, ტარიფი თუ სხვა სპეციალური შემოთავაზება ექვემდებარება კონკრეტული შემოთავაზების წესებსა და პირობებს. თუსხვაგვარადარიქნება შეთანხმებული Wizz Air-ის მიერ, Wizz All You Can Fly-ს უპირატესობებისა და Wizz Air-ის სხვა შემოთავაზებების გაერთიანება შეუძლებელია.

7 შეწყვეტა და თანხის დაბრუნება

7.1 თქვენ შეგიძლათ შეწყვიტოთ Wizz All You Can Fly მოქმედების მიმდინარე პერიოდში; ამ შემთხვევაში Wizz All You Can Fly-ს მოქმედება შეწყდება მიმდინარე პერიოდის დასრულებისთანავე. ასეთ შემთხვევაში, Wizz Air არ განაახლებს თქვენს Wizz All You Can Fly გამოწერას შემდეგი პერიოდისთვის, როგორც ეს განმარტებულია 3.4 მუხლში. თუსხვაგვარადარარის მითითებული წინამდებარე წესებსა და პირობებში, თქვენ არ გეკუთვნით თანხის დაბრუნება ან კომპენსაცია Wizz All You Can Fly-ს ცალმხრივად გაუქმების შემთხვევაში.

7.2 თქვენ უფლება გაქვთ, გააუქმოთ Wizz All You Can Fly პირველი ოცდათი (30) დღის განმავლობაში, თუ ვაუჩერს არ გამოიყენებთ. Wizz All You Can Fly-ს გაუქმების შემთხვევაში, Caravelo დაგიბრუნებთ ვაუჩერის მოსაკრებელში გადახდილთანხას 7.6 მუხლის მიხედვით. გაუქმების უფლება არ ვრცელდება მოქმედების განახლებულპერიოდებს.

7.3 თქვენი წევრობის გაუქმება ან Wizz All You Can Fly-ზე უარის თქმა შეგიძლათ Wizz Air-ისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (https://wizzair.com/en-gb/information-and-services/compliments-and-complaints/) მოქმედების მიმდინარე პერიოდის დასრულებამდე. Wizz All You Can Fly-ს წევრობის გაუქმება შესაძლებელია, რისთვისაც უნდ იპოვოთ შესაბამისი საინფორმაციოცენტრი „არსებული ჯავშნების“ გვერდზე: https://wizzair.com/en-gb/information-and-services/contact/contact-us.

7.4 Wizz Air იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეიტანოს შესწორებები ამ წესებსა და პირობებში ნებისმიერ დროს, რისთვისაც ვებსაიტზე გამოაქვეყნებს ჩასწორებულ წესებსა და პირობებს. თუ Wizz Air არსებითად შეცვლის წინამდებარე წესებსა და პირობებს, თქვენ

მიიღებთ შეტყობინებას ელფოსტის მეშვეობით, ცვლილების ძალში შესვლის დაგეგმილთარიღამდე ოცდათი (30) დღით ადრე. აღნიშნული ცვლილება ძალში შევა მხოლოდ თქვენი დასტურის შემთხვევაში.

7.5 თუ თქვენთვის მიუღებელია შემოთავაზებული ცვლილება, შეგიძლიათ გაუქმოთ თქვენი Wizz All You Can Fly გამოწერა, რაც დაუყოვნებლივ შევა ძალში, გაუქმების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (იხილეთ 7.3 მუხლი). წერილობით შეტყობინებაში შეგიძლიათ მოითხოვოთ ვაუჩერის მოსაკრებლის ნაწილობრივი ანაზღაურება, მოქმედების პერიოდის ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობის პროპორციულად.

7.6 Wizz Air-მა შეიძლება შეწყვიტოს ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში რეისების შესრულება. თუ Wizz Air შეწყვეტს რეისების შესრულებას და ეს გავრცელდება თქვენ მიერ არჩეულ აეროპორტს, თქვენი Wizz All You Can Fly წევრობა განაგრძობს მოქმედებას მიმდინარე პერიოდის ბოლომდე, რის შემდეგაც Wizz All You Can Fly წევრობა ავტომატურად აღარ განახლდება.

7.7 Wizz Air-ს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს Wizz All You Can Fly სერვისის უზრუნველყოფა. თუ Wizz Air გადწყვეტს Wizz All You Can Fly სერვისის დასრულებას თავისი შეხედულებისამებრ:

(a) თქვენი Wizz All You Can Fly წევრობა განაგრძობს მოქმედებას მიმდინარე პერიოდის დასრულებამდე. თქვენი Wizz All You Can Fly წევრობა აღარ განახლდება მიმდინარე პერიოდის ბოლოს და თქვენ არ ჩამოგეჭრებათ მომდევნო პერიოდის მოსაკრებელი; ან

(b) თქვენი Wizz All You Can Fly წევრობა დაუყოვნებლივ შეწყდება. მიმდინარე პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი თვეების პროპორციულად დაგიბრუნდებათ ვაუჩერის მოსაკრებლის ნაწილი.

7.8 Caravelo, თანხის დაბრუნების მიზნით, გამოიყენებს გადახდის იმავე მეთოდს, რომლითაც თქვენ ისარგებლეთ Wizz All You Can Fly გამოწერის შეძენისას, 4.3 მუხლის შესაბამისად. Caravelo არ აანაზღაურებს თქვენ მიერ შეძენილ დამატებით სერვისებს.

8 Wizz Air-ის მიერ გამოწერის შეჩერება და შეწყვეტა

8.1 Wizz Air-მა შეიძლება დაუყოვნებლივ შეაჩეროს თქვენი წევრობა გამონაკლის შემთხვევებში. გამონაკლისი შემთხვევები მოიცავს შემდეგს:

a) Wizz Air-ისთვის არ მიგიწოდებია თრაიმე ინფორმაცია, რომელიც Wizz Air-მა მოითხოვა ან Wizz Air-ს სჯერა, რომ თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორი ან მცდარია;

b) თქვენ არსებითად დარღვიეთ წინამდებარე წესები და პირობები და არგამოასწორეთ აღნიშნულ დარღვევა გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც Wizz Air-მა გაცნობათ დარღვევის შესახებ;

c) Wizz Air-მა შეაჩერა თქვენი წევრობა კომპეტენტური სასამართლოს, სამთავრობო უწყების, საჯარო დაწესებულების და/ან სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნითან მითითებით.

8.2 Wizz Air იტოვებს უფლებას, მიიღოს ნებისმიერი სამართლებრივი ზომა და მიმართოს შესაბამის სასამართლოს, სამთავრობო უწყებას, საჯარო დაწესებულებას და/ან სამართალდამცავ ორგანოს 8.1 მუხლში

განსაზღვრული რაიმე მიზეზითანგარიშის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში.

8.3 Wizz Air ელფოსტით გამოგიგზავნით შეტყობინებას შეჩერების, შეჩერების მიზეზებისა და გამოსწორების შესაძლო საშუალებების შესახებ შეჩერების დაწყებამდე, ან გონივრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გეცნობებათ, რომ დარღვევდითკანონს ან Wizz Air-ის უსაფრთხოების გონივრულ ზომებს. Wizz Air პრაქტიკულად შესაძლებელ ვადაში გააუქმებს ანგარიშის მოქმედების შეჩერებას, როგორც კი მისი მიზეზები აღმოიფხვრება.

8.4 თუ შეჩერების მიზეზი არ აღმოიფხვრა შეტყობინების მიღებიდან ოცდათი (30) დღის განმავლობაში, Wizz Air-მა შეიძლება შეგიწყვიტოთ Wizz All You Can Fly წევრობა, ვაუჩერში გადახდილი თანხის დაბრუნების გარეშე.

8.5 თუ თქვენი Wizz All You Can Fly წევრობის შეჩერების მიზეზია 6.6 მუხლში მოცემული დებულების ორჯერ (2) დარღვევა მოქმედების ერთი და იმავე პერიოდის განმავლობაში და თქვენ 8.3 მუხლის მიხედვით ვერ აღმოფხვერით აღნიშნული მიზეზები, Wizz Air-მა შეიძლება დაუყოვნებლივ შეგიწყვიტოთ Wizz All You Can Fly წევრობა ვაუჩერში გადახდილ თანხის დაბრუნების გარეშე და დაგაკისროთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა, მაქსიმუმ ვაუჩერის ოდენობით.

9 სხვადასხვა

9.1 Wizz All You Can Fly მოიცავს პერსონალურ და არაგადაცემადსერვისებს, რომლებიც ვერ მიენიჭება რომელიმე მესამე მხარეს და ვერც სხვა მხრივ გასხვისდება. დაუშვებელია, რომ თქვენ ან მესამე მხარემ სხვებს შესთავაზოთ Wizz All You Can Fly-ს ფარგლებში დაჯავშნილ ავიაბილეთები და/ან სერვისები კომერციულ მიზნებისთვის, მათ შორის, ინტერნეტ-აუქციონების ან ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სხვა პლატფორმების მეშვეობით.

9.2 ეჭვის გასაქარწყლებლად, Wizz Air Hungary Limited (და არა — Caravelo) წარმოადგენს წინამდებარე წესებსა და პირობებში აღწერილ სერვისის ძირითად პროვაიდერს, ხოლო თქვენ ამ წესებსა და პირობებს აფორმებთ თქვენსა და Wizz Air Hungary Limited-ს შორის. Wizz Air Hungary Limited გარანტიას იძლევა, რომ ფრენების დაჯავშნა შესაძლებელია Wizz Air-ის ყველა რეისზე მე-5 მუხლის შესაბამისად, მე-6 მუხლით დადგენილი შეზღუდვებისა და ლიმიტების გათვალისწინებით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე წესებისა და პირობების თაობაზე წარმოიშობა დავა კონკრეტულ ჯავშანთან დაკავშირებით, წესები და პირობები რეგულირდება და ინტერპრეტირდება Wizz Air-ის იმ სუბიექტის გადაზიდვის ზოგადპირობებში მოცემულ დებულებების მიხედვით, რომელიც ასრულებს თქვენ მიერ დაჯავშნილ რეისს (მე-4 მუხლის მიხედვით).

9.4 ვინაიდან ეს წესები და პირობები გაფორმებულია თქვენსა და Wizz Air Hungary Ltd.-ს შორის, ის რეგულირდება და ინტერპრეტირდება Wizz Air Hungary Ltd.-ს გადაზიდვის ზოგადი პირობების შესაბამისად. თქვენსა და Wizz Air-ს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელიც რამენაირად დაკავშირებულია წინამდებარე წესებთან და პირობებთან, გადაწყდება Wizz Air Hungary Ltd.-ს გადაზიდვის ზოგად პირობებში მოცემული დებულებების გათვალისწინებით. იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში

მცხოვრები მომხმარებელი ხართ, უფლება გაქვთ, აწარმოოთ სასამართლო და ვა თქვენი ქვეყნის სასამართლოში.

ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 20 სექტემბერი